ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**№48. 482426210**

თარიღი:**18/09/2024**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61– ე მუხლის მე – 3 ნაწილის ,,ა“ პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე“ პუნქტის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის, 23-ე მუხლის პირველი ნაწილისა და მესამე რანგის, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის - პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის 2024 წლის 11 სექტემბრის N 01-4824255112 წერილის თანახმად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა დანართის შესაბამისად.

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა განისაზღვროს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შინაგანაწესის ნაწილად.

3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებამ უზრუნველყოს ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის“ გაცნობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებულ თითოეულ თანამშრომელზე იმ ფორმით, რომ მოხდეს მათი მხრიდან გაცნობაზე თანხმობის დადასტურების ასახვა.

4. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ღონისძიებათა მართვის განყოფილებამ უზრუნველყოს ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის“ გამოქვეყნება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე.

5. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ.No11).

გენადი ბალანჩივაძე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი